მემორანდუმი

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტსა და ა.ა.ი.პ. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციას შორის ურთიერთანამშრომლობის შესახებ

ქ.თბილისი 27.06.2014 წელი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი წარმოდგენილი სამართლისა და სოციალური მეცნიერების სკოლის დეკანის, ზაზა რუხაძის სახით და ა.ა.ი.პ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია წარმოდგენილი თავმჯდომარის, ზვიად კორძაძის სახით, აღიარებენ რა ორმხრივ ინტერესესს, საქართველოს იურიდიულ ფირმათა ასოციაციასთან თანამშრომლობით, ხელი შეუწყონ იურიდიული განათლებას, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მხარეთა თანამშრომლობის მიზანია:

ა) სტუდენტებისათვის ცოდნის ამაღლების ხელშეწყობას, ხარისხიანი იურიდიული განათლების მიღებაში;

ბ) სტუდენტთა სტაჟირების ხელშეწყობა;

გ)სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა პროექტებში, ტრენინგებში, სასწავლო პროგრამებში, საჯარო ლექციებში;

დ)სტუდენტების სამართლებრივი მართლშეგნების დონის ამაღლება;

ე)გამოცდილების გაზიარება და პროფესიული უნარ-ჩვეებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ვ) მახრეების მიერ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

მუხლი 2.

მხარეთა შორის თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ფორმით:

ა)სტუდენტებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს იურდიული ფირმების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში;

ბ)საქართველოს იურდიული ფირმების ასოციაციას მიეცემა საშუალება უნივერსიტეტის ბაზაზე ჩაატაროს ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებები და გამოიყენოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

მუხლი 3.

მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და ფარგლები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით

მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები

მუხლი 5.

მემორანდუმუ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 6.

მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

მის: მერაბ ალექსიძის #8

თბილისი, საქართველო

ტელ:(+995 32)220 65 20

www.gau.ge

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია

მის: ქავთარაძის ქ:#21 სად.1 სარ.2 ბ.3 ბლოკი „A”

თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 220 60 80

www.alfg.ge

_____ _____

/ზაზა რუხაძე/ /ზვიად კორძაძე/